№ 232 ნოემბერი 1, პარასკევი | 1891 | ნოემბერი 1, პარასკევი № 232

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ულიერივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 | სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი | 1877—1891

სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის და მუდმივის საწოლებით ქ. ქუთაისში.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ათის საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე. შინაგანისა და საყმაწვილო სენით ავადმყოფებს არჩენს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა, ვენერიულისა და სიფილისის სენით ავადმყოფებს—ს. ბ. ვოინო. საბებიო და ქალის ავადმყოფობით ავადმყოფებს—ექიმი ქალი მ. ფ. კალანი. თვალებით ავადმყოფებს მიიღებენ დილის თერთმეტის საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეთი ავადმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელ-მძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულს ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმთაგან, ეღირება სამი მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი. დაზელვისა (მასაჟის), აგრეთვე საავათმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება. გადამდების ავადმყოფობით სნეულებს საავათმყოფოში დასაწოლად არ მიიღებენ.

გარედგან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ პირველ ნოემბრამდე ბოკერიას სახლში, ბულვრის პირდაპირ, და მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იქმნება ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში, ხოლო პრველ ნოემბერიდან გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ სტეფანოვის სახლში და მუდმივ საწოლიანი სამკურნალო იქმნება თოფურიას საკუთარს სახლში, გაგარინის ქუჩის შესახვევში, სომხების ეკკლესიის მახლობლად.

სამკურნალოს დირექტორი—ს ბ. თოფურია

(10—7)

ტფილისი, 31 ოქტომბერი

ჩვენის ქალაქის საბჭოს ყოფა-ცხოვრებას რომ დავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ იგი პირისპირობა, იგი აზრთა აღებ-მიცემობა, იგი სხვა-და-სხვა შეხედულობათა ერთმანეთთან გაკამათება, რომელიც აუცილებელია და, მაშასადამე, ბუნებური ყოველ ამ გვარ კრებისათვის, როგორიც საბჭოა, დღეს სწორედ ომად არის გადაქცეული, იმ გვარ ომად, სადაც ყოველი უკადრისი ღონისძიებაც-კი საკადრისად არის გამხდარი, ოღონდ-კი გამარჯვება დაინარჩუნონ.

ეს საბჭოს ორ დასად დაყოფა და ამ ორ დასთა ერთმანეთთან დატაკება ბოლონდელ არჩევანების პირველს ხანებშიაც გამომჟღავნდა, მაგრამ დღეს ეს დატაკება გადამტერებად შეიქმნა და ომი უფრო გაცხარებულია, უფრო გამწვავებულია და იმოდენად გაძლიერებული, რომ მშვიდობიანი, ჭკვადამჯდარი და საქმიანი პირისპირობა და აზრთა კამათი ლამის შეუძლებელი-და გახდეს. ეს ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, დიდს ვნებას მოუტანს ქალაქსა, რომლის უსაჭიროესნი საქმენი შესაძლოა ინაცვალოს ამ მდგომარეობამ და მთელი ეს ოთხი წელიწადი ახალ არჩევანამდე უქმად შეელიოს ტყუილ-უბრალო წეწვა-გლეჯასა.

ვინ, ან, უკეთ ვსთქვათ, რომელმა დასმა მიიყვანა საქმე ამ გამწვავებამდე, ამ გადამტერებამდე, სასურველია კაცმა ბეჯითად გამოარკვიოს, რომ თუ დღეს არა, მაშინ მაინც, როცა განკითხვის დღე მოვა, დამნაშავემ თავისი ბრალი სხვას არ მოახვიოს თავზე და თავისი ჯეროვანი სასჯელი მიიღოს.

რა თქმა უნდა, ვისაც ჩვეულებად აქვს მიღებული წყლის მღვრევა და მღვრიე წყალში თევზის ჭერა, იგი ადვილად იპოვნის დამნაშავეს, თუმცა თვითონვე გულში დარწმუნებული იქნება, რომ სტყუის და ატყუებს სხვას, რომელსაც საკუთარის თვალით სინჯვა საქმისა არ შეუძლიან.

ამ გვარს განგებ მტყუანა მკვლევარს საქმის გარემოებამ ხელთ მისცა იმისთანა საბუთი, რომელიც თვალად მართალსა ჰგავს, გულით-კი სულ სხვის მომასწავებელია. საბუთი იმაშია, რომ, მინამ ქართველობა და რუსობა შევიდოდა საბჭოში, საბჭოს საქმენი მდოვრად, მშვიდობიანად მიმდინარეობდნენ, წინ არა ეფეთებოდათ-რა, გამგეობა იტყოდა რასმე, საბჭო ნიშნად თანხმობისა თავს აკანტურებდა და „ბალი აღაო" იძახდა. ახალნი ხმოსნები შევიდნენ თუ არა, აირია მონასტერი, ასტყდა კამათობა, ჩხრეკა, სინჯვა, განკითხვა და აწონ-დაწონვა, აღარც უგემური კანტურია თავისა, აღარც მთქნარებით ამოძახილი ბალი აღაობა. აი მტყუანა მკვლევარი ამ გარემოებას ჩაჰკიდებს ხელს და იტყვის, მინამ ესენი არ იყვნენ, მშვიდობიანობა იყო საბჭოში, შემოვიდნენ და ერთი ვაი-ვაგლახი და ალიაქოთი ასტყდაო. მაშ ვინ არიან დამნაშავენი, თუ არ ესენი, ეს ბატონები, ახალი ხმოსნებიო?

ესე დაყენება საქმისა, რა თქმა უნდა, მტყუანს მკვლევარს ლარს გაატაინებს უმეცარის თვალში და ტყუილს მართლად გაასაღებინებს. ზოგიერთი აქაური მეგაზეთე დღე ყოველ ამის მეტს სხვას არას ამბობს, როცა-კი ეხლანდელი შედგენილობა საბჭოსი თვალწინ წარმოუდგება ხოლმე მისდა გულსაკლავად და სავალალოდ.

ჩვენის ფიქრით-კი, მძიმე ცოდვა გადამტერებისა, ომის გამწვავებისა უნდა იკისროს ქალაქის წინაშე ეგრედ-წოდებულმა „ძველ გამგეობის" დასმა. ამ დასში იმოდენად გონება გახსნილნი წევრნი არიან, რომ არ შეიძლება არ სცოდნოდათ, არ გაეგოთ—რა შეიტანა ახალს საბჭოში ახალთა ხმოსანთა დასმა. ისინი აჰყვნენ გონება დახშულ წვრილფეხობის ხმას, ვითომც ახალთა ხმოსანთა შესვლა საბჭოში მოასწავებს ქართველობის და რუსობის გაძლიერებას ქალაქში და ქალაქის საქმეთა წარმატებაში და სომხობას ამით ფრთა შეეკვეცება.

ამ ხმამ დააფეთა ტყუილ-უბრალოდ შეშინებული გონება ძველის გამგეობისა, რომლის მომხრეთა ვალად დაიდვეს ქალაქის საქმეთა რიგიანად მსვლელობა-კი არა, არამედ დაცვა თავის ვინაობისა და ლამის ამ აზრს ანაცვალონ მთელი ქალაქი მთელის მისის ინტერესებით. რაკი იმათ მოქმედებას სარჩულად ეს ვნებათა ამშლელი აზრი დაედვა, რაღა საკვირველია, რომ თავდაუჭერელი გულთა-ვნება, შიშისაგან გაძლიერებული, თავისას იქმოდა, რადგანაც გულთა-ვნება ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ საკმაოა გულში დაიბუდოს, მცირეოდენი ადგილი დაიჭიროს და მერე მთელს აგებულებას მოედება, როგორც ცეცხლი ჩალასა, თუ ნამეტნავად დამშლელი არავინა ჰყავს. რაღა საკვირველია, რომ გულთა-ვნებით გაფიცხებულებმა საერთო საქმე დაივიწყეს და პირადს მტრობაზე გადაცვალეს.

საქმე-კი ცხადი იყო, რომ ფაფისაგან შეშინებულებს დოსთვის ბერვა არ დაეწყოთ. რა ითხოვეს, რითი წარსდგნენ ქალაქის წინაშე ახალი ხმოსნები, რა მოინდომეს ისეთი, რომ ბრალი დაედოთ ან თავიანთ ვინაობის გაძლიერებისა, ან სხვისის დაუძლურებისა, თუ განდევნისა? აბა ერთი მაგალითი გვიჩვენონ. ნუ თუ ძველმა გამგეობამ, ანუ მისმა დასმა ვისიმე ვინაობის დამხობად მიიღო ისა, რომ ახალთა ხმოსანთა ითხოვეს,—ნურა საქმეს ნუ გადავწყვეტთ გაურჩევლად, გამოუკითხავად, აუწონ-დაუწონებლად, ყოველს საქმეს გონება, ცოდნა, გამოცდილება წავუმძღვაროთ და, რაც ამათგან შემოწმებულმა სინიდისმა გვაგონოს, ისე გადავწყვიტოთო. ეს მართალია გაძლიერებაა, გალონიერებაა, ხოლო განა მარტო ქართველობისა, ან რუსობისა და არა მთელის საბჭოსი?

ნუ თუ ამ გზაზე დაყენება ქალაქის საქმეთა ქართველობის, რუსობის გაძლიერებას ჰნიშნავს? თუ

# ფელეტონი

## მოხუცი მეორგანე

დაიჭრიალმა ერთის უცხო სახლის ჭისკარმა, ეზოში შევიდა მოხუცებული მეორგანე, თავის ტვირთ ქვეშ მოხრილი, და თან შეჰყვა მთელი ხროვა ცელქის ბავშვებისა.

ჩვეულებრივის სიჩუმით და უგრძნობელობის გამომეტყველებით პირის სახეზე გადმოიღო მან თავისი ორგანო ზურგიდამ მუხლზე, ზანტად დაუწყო თვალიერება სადგომების ფანჯრებსა და კარებს და თან მოჰკიდა ხელი დასაკრავს ტარს. გაისმა ძლიერი, მკივარა ხმები, ასტყდა რაღაცანაირი ხრიალი, ხახა-ხუხით, და მასთან ნადირული სტვენა. ყველა ამაში რაღაცა ნაირი ლოთიბაშური კილო, ლოთიბაშური გახელება ისმოდა. ბავშვების ცნობის მოყვარე, ცოცხალი თვალები მხიარულებით იყვნენ სავსე, იმათთვის იყო ეს მხოლოდ გამახალისებელი ხმა, რომელიც ასურვებდა მათ ხტუნვას და კინწლაობას. მერმე რაღამაც კიდევ კეკავა მოიღო მეორგანის ხელს ქვემოთ, მოისმა სხვანაირი, ახალი ხმები. ესენი იყვნენ უფრო ნაზი, უფრო ყურის დამატკბობელი, მაგრამ, როდესაც უფრო დაყურდებოდნენ და უფრო მწუხარე შეიქმნებოდნენ, ისმოდა რაღაცა ნაირი უსიამოვნო ხრწიალი, თითქო დაძველებულს მანქანას ჰაერი შემოკლებოდა და სუნთქვა გასძნელებოდა.

მხედველობა მოხუცის მეორგანესი იყო უძრავი, მკვდარი, მისს უსიცოცხლო პირისახეს ჰქონდა რაღაცა „დათაკვებული" გამომეტყველება; ეს ის უკანასკნელი გამომეტყველებაა პირის-სახისა, რის შეცვლაც არ შეუძლიან აღარც უკეთესს ცხოვრებას, აღარც სიხარულს, აღარც მწუხარებას. გაცინებაც რომ შეიძლოს მისმა დამახინჯებულმა სახემ, სიცილიც ვერ შეშლის ამ სასტიკს ბეჭედს.

ორგანოს ტარი თავის თავად ტრიალებდა მისს ხელში, ხმები კილოზე გადადიოდნენ, ჰკვნესოდნენ, მაგრამ არავინ არ გამოდიოდა მის მოსასმენელად, მხოლოდ ერთმა მოხუცებულმა ქალმა გამოიხედა ერთს წამს ფანჯარაში და დაიმალა ისევ. როგორც მეორგანესათვის, ისეც მოხუცებულ ქალისათვის ეს იყო ძველი, მოწყენებული სიმღერა, მაგრამ მოხუცებულს ქალს შეუძლიან, მოშორდეს და აღარ გაიგონოს. მოხუცებული მეორგანე-კი ველარსად წაუვა ამ სიმღერას, როგორც ვერ წაუვა მთელს თავისს წარსულს, რომელთანაც ასე მჭიდროდ არის შეერთებული თვითეული ხმა; მან უნდა დაუკრას ის ყოველგან და ყველასათვის, რადგანაც ეს არის ერთად ერთი საშუალება მისის ცხოვრებისა.

ასე დაიარება ის კარ და კარ, ზოგან მისცემენ რასმე, ხშირადაც გააგდებენ ხოლმე. ოდესღაც ეს მეტად სამძიმო იყო მისთვის, მაგრამ მერე შეეჩვია და ბევრს ამაზე უარესსაც აღარაფრად ნაღვლობდა, მაგრამ მასაც ჰქონია დრო, როდესაც ყველა მისი საუკეთესო ფიქრები, იმედები და ოცნებები აწ მოტყუებულის და გაცუდებულის ბედნიერებისა მწყობრად ეთანხმებოდნენ მის ძველის ორგანოს მხიარულს სიმღერასა, თუმცა ახლა საკვირველი და გაუგებარი იყო, მაგრამ თვითეული ხმა, თვითეული კილო მაშინ უფრო ძლიერად აღელვებდა მისს სისხლს, უფრო აცოცხლებდა და ახალისებდა მისს გულს. ხოლო ამისთანა დრონი ბედნიერის კაცისთვისაც მალე და გაუგებრად გარბიან და მეორგანეს ხომ, რასაკვირველია, თითქმის გულიდამ გადავარდნილიცა ჰქონდა. ხანდახან, თუმცა-კი ძალიან იშვიათად, იმისთანა წუთს, როდესაც დაობებული სულიც-კი შეიქმნება ხოლმე მგრძნობიერი, წარსულის გახსენება შეეპარება და ელვასავით გაანათებს რომელსამე ხმას სიმღერისას. მაშინ ხელი უნებურად უფრო ჩქარა ტრიალს მოჰყვება და ორივე ერთმანეთს ჩაერთვის, ერთმანეთს ჩაექსოება.

მისს უბადრუკს გვამსს თითქო მოჰკდომია სული, გაჰხმობია გული. ერთი აზრიც-კი, ვგონებ, არ გაურბენს და არ შეშლის მისს სახეს, გრძნობა და ფიქრები შორს გაფრენია, იქნება იქავ ორგანოშიაც დაუმარხავს. მას-კი, კაი ხანია, რაც დავიწყებული აქვს. ვინ იცის, იქნება ეს გრძნობები და ფიქრები ესმის და გულსა ჰხვდება მას, ვინც სიბრალულით ორის გროშით გაიკითხავს ხოლმე.

იგი ძველი ორგანო იყო ოდესღაც მისი სულის ნაწილი, ერთად ერთი უდრტვინველი მეგობარი მისის ცხოვრებისა, იგი გრძნობდა ამას, ვიდრე მისი სული ეძლეოდა ჯერ კიდევ ამ სოფლის დარდსა; იგი ელაპარაკებდა ორგანოს და მით იდუმალად გადასცემდა სხვას თავის ბედის, თავის მწუხარების ამბავსა.

იმას ბევრი მიუვლ-მოუვლია სხვა-და-სხვა ქალაქები და სოფლები, დუქნები და ტრაქტირები, მაგრამ მისი სიცოცხლე მაინც თავ-შეუფარებელი, განმარტოებული სიცოცხლე იყო და ის მცირეოდენი სიხარული, ხან-მოკლე მხიარულება, რომელიც მას იშვიათად ჰღირსებია, ვერ გაანათებს, ვერ მისცემს ნუგეშს კაცის სიცოცხლეს; ეხლა მისთვის სულ ერთია, რაც ყოფილა და რაც იქნება, წარსულში არა აქვს მას არც მდიდარი და არც ძვირფასი სახსოვარი და, თუ ეხლა სიხარული არა აქვს და არც შემდეგში ექმნება, იგი ამისთვის აღარა სწუხს, აღარა ჰნაღვლობს. მარტო მყოფი არსება მისი, დიდი ხანია, დაუდუმდა ცხოვრებას; იგი და ცხოვრება, კაი ხანია, რაც საჭირო აღარ არიან ერთმანეთისათვის. მას აღარავისთანა აქვს დამოკიდებულება, იგი აღარავისთვის არის სანდომი. სიკვდილსა და სიცოცხლეს მისს თვალში ერთი და იგივე ფასი დასდებია, არც სიკვდილი და არც სიცოცხლე არ

ესეა, მაშ შაბაშ ქართველებს, რუსებს და ყოველთ იმათ, ვინც ამ გზაზე მოარულს მხარს მისცემენ და ვაი იმათ, ვინც ამ გზისაგან ჰშიშობენ, ამ გზას უფრთხიან და უფრო ვაი იმათ, ვინც ამ გზიდამ გადახვევას თავის ვინაობის ნიშნად ჰხადიან.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერა ვითარს რჩევას ვერ მივცემთ გულთა-ვნებით თავბრუდასხმულებს: ისინი ამ საუბედურო სენის წერისანი არიან და დღესა თუ ხვალ გადიჩეხებიან სადმე. იმათგან საქმის გასწორება შეუძლებელია, რადგანაც უკურნებელი სენი სჭირთ. მერე კეთილის მყოფელნი მეგაზეთებიც უფრო უძლიერებენ სნეულებას. ეს, რა თქმა უნდა, ვერაფერი ნუგეშია ქალაქის საქმეებისათვის, რომელნიც არ შეიძლება ამ სამწუხარო გარემოებამ არ დააბრკოლოს. რომ ეს არ მოხდეს, ერთად-ერთი ღონე ეგრედ წოდებული ოპოზიციაა. ამან უნდა თავს იდვას მძიმე ტვირთი ქალაქის საქმეთა მსვლელობისა, ეს უნდა გაუძღვეს ყოველს კარზე მოდგომილს საჭიროებას ქალიქისას დაუხანებლივ, დაუყოვნებლივ და ქარის წისქვილებთან ბრძოლა და ომი-კი მიანებოს „ძველ გამგეობის“ მომხრეთა.

ხოლო არც ოპოზიციაა ისე გაწყობილი, ისე დარაზმული, როგორც თვით ბუნება მისდა წარმომადგენელობის მინდობილობისა ითხოვს ერთის მხრით და მეორეს მხრით გარემოება დღევანდელის საბჭოსი. ამის თაობაზე Новое Обозрѣніе-ს № 2701-ში მშვენიერი წერილი იყო ფელეტონად დაბეჭდილი. იგი წერილი სამართლიანად უსაყვედურებს ოპოზიციას, რომ შეერთებული შრომა არა გაქვთ, ერთი ალთას იწევს, მეორე ბალთასო და ხშირად სწყვეტავთ საბჭოში საქმეს, რომელიც წინად შესწავლილი არა გაქვთო. „ისინი, ვისაც ერთი და იგივე აზრი და წადილი აქვთო, ამბობს იგი წერილი, ღონისა და შრომის გამოზოგვისათვის ისე იქცევიან, რომ თვითეულს ცალკე არ მოუნდეს ყოველის საქმის შესწავლა და ჩხრეკა, რადგანაც ერთს კაცს არც ღონე გაუწვდება, არც დროო. ამის გამო ირჩევენ ხოლმე ერთს მეთაურსა და ზოგჯერ კომიტეტსაც მიუჩენენო და მიანდობენ უწინამძღვროს ისე, რომ არა ვითარი საქმე, არა ვითარი ამბავი, არა ვითარი საგანი, არა ვითარი წვლილი უეცრად არ გამოუტყვრეს დასსაო და ყოველი წინად დანახული და განსჯილი იყოსო. იგი მეთაური გაანაწილებს საშრომელსა დასის წევრთა შორის იმისდა მიხედვით, ვინ რა ცოდნისა და ნიჭის პატრონიაო... „ამ გზით დასი გამოარკვევს შესახებ ყოველის საქმისა, საგანისა და საკითხავისა თავისს საკუთარს აზრს, საკუთარს შეხედულობას, რომელიც შესაფერი იქმნება მისდა პატიოსნებისა და მოთხოვნილებისაო. დასი მაშინ უფრო მედგრად და ცნობიერად იდგება თავისს აზრსა ჴ მოთხოვნილებაზედ, ტრადიცია გაჩნდებაო. მკვიდრნიც გაიგებენ არამც თუ იმას, რას ჰნდომობს დასი, არამედ იმასაც, რად ჰნდომობს, რა საბუთით ჰნდომობს, რა სიმართლე მიუძღვის და მკვიდრთა რომელს ნაწილს ხელს უმართავს და რომელს ხელს უცრისო. მარტო ამ გზით თვითმართველობა ფესვს გაიკეთებს ერის ცნობიერებასა და გულში და, მინამ ეს არ არის, თქვენი ლაპარაკი, რაც გინდა ბრწყინვალეც იყოს, ერის გულამდე ვერ მიაღწევს და დარჩება ვითარცა ხმა მღაღადებელი უდაბნოშიო“.

აი ჭეშმარიტი გზა, რომელიც ერთად შეჰკრებს და შეჰკრავს მთელს ოპოზიციას, გააძლიერებს და გაალონიერებს ურთიერთობით, საქმესაც გააკეთებინებს ცნობიერად, ჭკვა დასმით და თვით ქალაქის მკვიდრთაც დაანახვებს უტყუარად, სად და რომელს დასში უნდა ეძიოს თავისი კეთილის მყოფელნი.

ჩვენ ვურჩევთ, ყოველმა წევრმა ეგრედ წოდებულ ოპოზიციისამ გუბერნიანად წაიკითხოს იგი წერილი, რომლის მცირეოდენი ნაწილი ჩვენ აქ მოგვყავს.

## ახალი ამბავი

*** ტფილისში უკვე ჩამოვიდა ჩვენის დრამატიულის დასის არტისტი ბ-ნი კ. ყიფიანი და, როგორც შევიტყეთ, რამდენსამე წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს. პირველ წარმოდგენად კვირისთვის ამ არტისტის მონაწილეობით დანიშნულია ოთხმოქმედებიანი კომედია ავ. ცაგარელისა ,,ციმბირელი‘‘ და ახალი ვოდევილი ვალ. გუნიასი ,,მონადირე‘‘. შემდეგ წარმოადგენენ ,,ქანბორდის‘‘ და სხ.

*** გუშინ-წინ, 30 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია ნაფიც ვექილის თავ. ვ. გ. მაჩაბელისა და თავ. გ. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანის საქმე. მაჩაბელი 11,985 მ. და 42 კ. ედავებოდა თ. ჯამბაკურიან-ორბელიანს. თ. ჯამბაკურიან-ორბელიანიც თავის მხრივ 30,046 მ. და 61 კ. ედავებოდა მაჩაბელს. სასამართლომ ეს ორივე საჩივარი უარ-ჰყო და ორსავე მოჩივარს მიუსაჯა სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯის გადახდა.

*** ცხინვალი: სოფელს ორტევში აგერ ორი თთვე იქნება, რაც მუცელა გაჩნდა, ამ ორის თვის განმავლობაში ჯერ რვა კაცი გარდაიცვალა. კარგი იქნება, ყურადღებას მიაქცევდნენ, ვისიც ჯერ არს, თორემ, თუ ეს სენი სხვა სოფლებსაც მოედო, თქვენი მტერი, უფრო დიდს ზარალს უნდა მოველოდდეთ.

*** ზათუმი: კვირას, 27-ს ოქტომბერს, აქ ქართული წარმოდგენა იყო გამართული. წარმოადგინეს ა. წერეთელის კომედია „კინტო“ და ვოდევილი „ოინბაზი.“ წამოდგენა რიგიანად ჩაიარა, ხალხი საკმაოდ დაესწრო და მადლიერიც დარჩა.

*** სოფ. ბაკურციხე: (სიღნაღის მაზრა). დამდეგ ოქტომბრიდამ კარგი ამინდები დაიწყო. 21 ოქტომბერს ისეთი თბილი და სასიამოვნო ამინდები იყო, რომ რომ ბევრჯელ ზაფხულობითაც-კი მოენატრება ზოგიერთს. ეხლა ჩვენი შრომის მოყვარე მუშა ხალხი ხვნა-თესვის საქმეშია. აქამდისაც მოიშორებდა ამ საქმეს თავიდგან, რომ თითო მიზეზი არ უშლიდეს ხელს და არ აბრკოლებდეს ხოლმე. ჩვენი ხალხი ამისთანა ამინდებს ყოველთვის ეშურებოდა და ის ის იყო მომზადებული ჰქონდათ გუთნეული, იწყობდნენ ხვნას, მაგრამ, საუბედუროდ, ამ დროს ჩვენს მაზრაში მოხელემ გამოუცხადა ყველა სოფ. მამასახლისებს, რომ კომლზედ კაცი უნდა გამოიყვანოთ ბეგარაზედ და გზები უნდა გააკეთებინოთო. მამასახლისებმაც დაუყოვნებლივ დაურბინეს და გამორეკეს ბრძანებისამებრ. აი ეს ორი კვირაა, რაც გახურებული მუშაობაა გზებზედ. რაც შეეხება წლევანდელს ღვინის მოსავალს, ჩვენში შარშანდელზედ უფრო ცოტა გამოსავალი ჰქონდა და ძალიან კარგი ღვინო-კი დადგა ღირსებით, ნამეტნავად ბაკურციხესა და კარდენახში, რადგანაც ამ სოფლებში უფრო გვიან დაიკრიფა ვენახები და ყურძენმა უკეთ მოიწია. შიგა და შიგ იყიდება კიდეც მაჭრები. ჯერ-ჯერობით, რაც გაყიდულა, მაზანდა 80 მანათიდან 120 მანათამდის ადის საპალნე.

*** იქიდამვე: რომ იტყვიან „უბედურს ვარსკვლავზედ დაიბადაო“, სწორედ ამ ჩვენს სოფელ ბაკურციხის სკოლის შესახებ ითქმის. არ იქნა და ვერა ეშველა-რა, ბედმა ვერ გაუღიმა. ეს ათი წელიწადია, რაც იძახიან, სკოლა გვინდაო, და დღესაც ვერ აუშენებიათ სკოლის შენობა. ამ ორის დღის წინად ამ სოფლის მამასახლისს ვკითხე, სკოლის საქმე როგორ არის-მეთქი, და აი რა მიპასუხა: ჯერ კიდევ ბევრი მამალი იყივლებს, ვიდრე სკოლას ავაშენებდეთო. ჩვენ უკვე ეს ორი თთვეა დროებით სახლი დავიქირავეთ და იქ უნდა გვესწავლებინა, ყველაფერი მოვამზადეთ კიდეც, მაგრამ ტყუილად, ორის თთვის ქირაც მუქთად დაგვეკარგა და მასწავლებელი არსადა სჩანს, თუმცა, დიდი ხანია, დაგვპირდნენ და აქამდისაც უნდა გამოეშწესებინათ.

*** 6 ნოემბერს ტფილისს ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად საქმე ტამანის პოლკისა და მის მიერ დათხოვნილის კაპელმეისტერისა. ამ კაპელმეისტერს საჩივარი შეუტანია სასამართლოში, რომ უსაფუძვლოდ დამითხოვეს სამსახურიდგან და მცოდნე კაცები დაჰნიშენთ და დეე იმათ გამომცადონ, რამდენად დახელოვნებული ვარ ჩემს საქმეშიო. ამ გვარად ტფილისის ოლქის სასამართლო 6 ნოემბერს უფასოდ მოისმენს კონცერტს თავისს დარბაზში. (,,ნოვ. ობოზ.‘‘)

*** 28 ოქტომბერს ისმაილ ჰაჯი მამედ ტაგიევმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 27 ოქტომბერს, ნაშუადღევის სამს საათზე, თამამშოვის ქარვასლაში, ჩემის მაღაზიიდამ, ჩემმა მომუშავეებმა სულეიმან ყასუმ-ოღლიმა და ალიაქპარ ჰუსეინ-ოღლიმ 384 მან. სხვადა-სხვა ნივთეული მომპარესო.

*** რუსეთის გუბერნიებში დამშეულ ხალხის სასარგებლოდ პოლიციამ მიიღო ფრიდრიხ ვეტცელისგან 34 მან., 5 ოქტომბერს პუშკინის ბაღში გამართულ სპექტაკლიდამ 165-15, გერმანელთა კლუბში გამართულ საცეკვაო საღამოდამ 101 მან. 32 კ. გიორგი თეოდორეს ძე კანბურალავაისაგან 100 მან., ნავთლუღში პირველ დაწყებითს სასწავლებელში გამართულ სალიტერატურო საღამოდამ 59 მან., ქვრივს ალექსანდრა ანდრიას ასულის ბიკოვისაგან 5 მან., პავლე ნიკოლოზის ძე სტროევისაგან 1 მან. სულ 465 მან. 47 კაპ.

## ქართული თეატრი

დავიდარაბა, კომედია სამ მოქმედებად დ. ერისთავისა.

ცელქები, კომედია-ოპერეტი 1 მოქმედ. ვ. აბაშიძისა.

მხიარულად ჩაიარა გუშინ-წინ, ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, წარმოდგენილმა ორმავე პიესამ. ორივე პიესა რუსულიდამ არის გადმოკეთებული. პირველს პიესას „დავიდარაბას“ რუსულად ეწოდება „Откуда сыръ-

---

ულვიძებს მას აღარც ფიქრებს, აღარც სიბრალულს. ოდესღაც უკეთესის ცხოვრების სურვილისაგან იგი დილიდან საღამომდის დადიოდა თავისის ორგანოთი ქალაქად და უკრავდა, სადა-კი შეხვდებოდა, ქუჩებში, მეიდნებში, ყველგან, ქალაქ გარედ და ქალაქ შიგნით; ახლა-კი იმ ყოფაშია, რომ თუ იშოვის ერთის დღის საკმაო ლუკმას, მაინც კმაყოფილი მიიწევს ხოლმე თავის უსიხარულო ბინისკენ.

დედაბერი აღარ გამოჩენილა, სახლი დაცალიერებულს ჰგავდა. სიმღერა შეწყდა რაღაც ამომხჩარს ხმაზედ, რომელიც ოხვრა ეგონებოდა კაცს. ხელ ახლავე აიკიდა მან ზურგზე თავისი ორგანო, თითქოს კიდევ უფრო მდაბლად მოიხარა ტანში და გამოვიდა ქუჩაზე.

კაი ხანია, დავიწყებული აქვს, ვისთვის ან რისთვის უკრავს, როგორც, კაი ხანია, აღარ იცის, ვისთვის ან რისთვის ცხოვრობს. ორგანოს დაკვრა ერთად-ერთი მისი ხელობაა, რომელსაც შეეთვისა, რომელსაც მიეჩვია. იქნება კიდევაც შეეძლო დაენებებინა თავი ორგანოსთვის და ეპოვნა უკეთესი ღონე ცხოვრებისა, მაგრამ ამ საბრალო ცხოვრებას ინახავდა ისე, რომ ყველაზე უფრო იგი ცხოვრება მიემსგავსებოდა მისს წარსულს და მისს აწმყოს, რომლის შეცვლა ფიქრადაც აღარ მოსვლია.

უკვე დააპირა მან შინისკენ გაბრუნება, მაგრამ ამ დროს ვიღაც მთვრალი კაცი შეემთხვია, ჰკრა ხელი ორგანოს გამხმარს ფიცარს და უბრძანა „აბა, დაჰკა!-ო. „დაჰკა, დაჰკა, ბერო კაცო“, დაუმატა თავგასულმა ყაყმა: „თორემ თვითონ მეც მოვახერხებ“.

მეტი რა გზა იყო, უნდა დაეკრა. „აგრე, აგრე!“ აქეზებდა ლოთი, რომელსაც უხეიროდ გადაეგდო ქუდი კეფაზედ და რომელიც აქეთ-იქით იქნევდა სიმთვრალით ხელებს. ბოლოს ჰკრა ხელი იმას ჴ იმისს ორგანოს და უბრძანა: „გასწი, დაიკარგე!“-ო.

მეორგანემ უწინდებურად წყნარად გასწია თავისს გზაზე და არაფრად არ შეიმჩნია ეს შემთხვევა. მთელი მისი არსება ეჩვენებოდა კაცს შესაბრალისად, უწყინარად, საწყლად; კაცობრიობის უმსგავსობა მისთვის ახალი არ არი, იგი სიბნელესა და ცოდვაშია ძუძუ ნაწოვი. მან არ იცის, მას არა სწამს არაფერი კეთილი და ნათელი ადამიანისა და ისე, ჩუმად და დაუმდურებლად მიიტანს საფლავის კარამდე თავის წილად ხდომილს ბედსა.

უკან ისმოდა ხარხარი უქმის ხალხისა, მაგრამ მისს სახეს თითქოს არა დამჩნევია-რა, იგი არა-რას გრძნობს. მხოლოდ მარცხენა ლოყის ნაოჭი თითქო უფრო ჩაუღრმავდა, გული უფრო გაუცივდა.

ლეო

## რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველს მწერლობას მსოფლიო მწერლობაში და როგორ უნდა შესდგეს სამეცნიერო კატალოგი ჩვენის ხელნაწერებისა

(პასუხად ბ-ნს ექვ. თაყაიშვილს)

(შემდეგი. იხ. „ივერია“ 231)

რომელი იქნება ისეთი უფრო მართალი, სრული და დაწვრილებითი მოთხრობა თანამედროვეს ამბებისა, როგორც მთაწმინდელის წმიდა გიორგის ცხოვრებაა. ამის ბადალი დაწვრილებითი და მართალი მოთხრობა მეთერთმეტე საუკუნის ამბებისა, ჩვენამდი მოღწევნული, თვით იმ დროის ხელნაწერებში, არა ვგონებ, ორი-სამი მოიპოვებოდეს ყველა ევროპიელთ მატიანეებში; მოხსენებული მატიანე ნაბიჯებსაც-კი ალგიწერთ, სად როდის მისულან, ვინ და რა უნახავთ და სხვ. მეფე ბაგრატს დიდის ალტაცებით მიუღია წმიდა მთარგმნელი წიგნთა და ახლოდგან არ იშორებდა თურმე, მოუწოდა (ბაგრატ მეფემ) ბერსა (ე. ი. გიორგი მთაწმიდელს) წინაშე მისსა, მისცა ადგილნი შვენიერნი, ლავრანი დიდებულნი განსასვენებლად და საყოფელად მისდა, პირველად ნეძჳ ქართლისა შინა (როდესაც მეფე ქართლს ბრძანდებოდა) და შემდგომად მცირედისა შატბერდი, დიდებული ლავრა კლარჯეთს შინა“ (როდესაც მეფე სამცხეს გარდავიდა). შემდეგ წმიდა გიორგი მარტვილს სცხოვრობდა, როდესაც საზამთროდ მეფე ჩვეულებრივ იმერეთს გარდავიდა. ესე მოგვითხრობს მემატიანე, მაგრამ ბ-ნმა თაყაიშვილმა აქაც შემოიტანა ძლევა მოსილი თვისი კრიტიკა და სიკრუე და უცოდინარება დასწამა მემატიანეს; იმას თურმე არ სცოდნია, სად იმყოფება ის ლავრა, რომელშიაც რამდენიმე თთვე მაინც დაჰყო ერთად ნაგისგისთან, და აჰა რა გვაუწყა: ჩვენ იჭვი არა გვაქვს (ნეტარ არიან მორწმუნენი!), რომ ჩვენი აქამომდე მიუკვლევარი შატბერდი... არსებობდა სომხეთში, ეფრატის ბასსეინში“ (გვ. LXXIII), ერთის სიტყვით, საზღვარს გარეშე, კარგა გაცილებით. გამოდის რომ მეფემ „მოუწოდა გიორგი მთაწმიდელს წინაშე თვისსა“, რათა დასტკბეს მასთან ლაპარაკით და სამყოფელად საზღვარს გარე გააგდო სასომხეთოში, ეფრატის ღელეში, კარგა მოშორებით! კარგი სიყვარულია! სტუმრობა და მასპინძლობაც ასეთი უნდა! მერე მაგ ქართველს მემატიანეს, სომხეთში მყოფს, თურმე ქართლშივე ჰგონებია თავი და კლარჯეთში დაუსახავს მისდა განსასვენებლად მიმჩნეული შატბერდი. სულ რეგვენები ყოფილან მაშინდელები! ეპატიოთ „განმჭვრეტელს“ ჩვეულებრივი ჯერ „უეჭველ ყოფა“ მისი და შემდეგ უკუთქმა სიტყვისა; ასეთი ჩვეულება მისი აქაც გამოაბრწყინა მან, მღაღადებელმან: „შეიძლება ამ ადგილებში (ე. ი. ოლთისის და ტაოსკარის წყლებ-შუა, —და არა ეფრატის ღელეში) ვეძიოთ შატბერ-

„боръ загорѣлся" და ქართულს დრამატიულს დასს ამ სამი-ოთხის წლის წინად არა ერთხელ წარმოუდგენია „ორლანო და ლეკვის" სახელით. ეს პიესა ოთხ-მოქმედებიანია და არ ვიცით, ჩვენი დასი უკანასკნელს ორს მოქმედებას ერთად რად ათავსებს.

მოთამაშეებმა მხიარულად ჩაატარეს პიესა, თუმცა ალაგ-ალაგ ნათლად ეტყობოდათ, რომ თამაშობის მხრივ ვერ შეთანხმებულიყვნენ ერთმანეთში კარგად და პიესა ხელ-სწრაფად მოემზადებინათ. განსაკუთრებით კარგები იყვნენ ქ-ნი საფაროვისა და ბ-ნი აბაშიძე. ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამ ლამაზად ჩაატარა ძნელი როლი ნენე ბაიათოვისა, რომელსაც ქართულს სცენაზედ ყოველთვის ქ-ნი ნ. გაბუნია ასრულებდა ხოლმე. არა უჭირდათ-რა აგრეთვე ვექილისა და გიგოია ჰონქაძის როლის აღმსრულებლებს, განსაკუთრებით-კი ბ-ნს გუნიას. საერთო ანსამბლას მხოლოდ ქ ნი არლანისა ახდენდა ძალიან. ნინა ბაიათოვის ქალის როლის ამსრულებელი, ქ-ნი არლანისა ისე თადიოდა და ისე ერთ-ფერად, ზარმაცად, ზანტად ლაპარაკობდა, თითქოს ძილისაგან ეს არის ეხლა გამოფხიზლებულაო. იშვიათად გვინახავს აგრე უსიცოცხლოდ ნათამაშევი როლი. ანსამბლს ხელს უწყობდნენ ბ-ნნი: გედევანოვი (მინას მანჯანოვი) და კანდელაკიც (მომრიგებელ-მოსამართლე).

დასასრულ წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი კუპლეტებიანი კომედია: „ცელქები", რომელმაც საუცხოვოდ ჩაიარა და დიდად ასიამოვნა თეატრში დამსწრე საზოგადოება. საუცხოოდ შეასრულა თავ თავისი სათამაშოები ქ-ნმა საფაროვისამ და ბ-ნებმა აბაშიძემ და გედევანოვმა.

თეატრში საზოგადოება მაგდენად ბევრი არ დაესწრო, უმეტესობას მოსწავლე ქალებსა და ვაჟებს მოეყარათ თავი, რადგან ამ დღეს იმათთვის ადგილების ფასი დაეკლოთ. დიდად სასიამოვნოა, რომ ჩვენი დრამატიული დასი სცდილობს მოსწავლეებსაც ღონის ძიება მისცეს წარმოდგენებზედ სიარულისა, მაგრამ კარგს იზამდნენ, რომ წარმოდგენაც მოსწავლეების გემოვნებას შეუფარდონ და შეუხამონ ხოლმე.

მ—ძე

## სასულიერო მთავრობის განკარგულებანი.

### უწმინდესის სინოდის განკარგულება

**4—11 სექტემბრისა 1891 წლისა № 2280, იმის შესახებ, რომ ბაღოსნობისა და მებოსტნეობის სწავლება იქმნას შემოღებული სასულიერო სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში.**

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებისამებრ, უწმიდესმა უმართებულესმა სინოდმა მოისმინა: ბ-ნ სინოდის ობერ-პროკურორის მიერ, წარსულის თთვის 17 აგვისტოს მე-571 №-რით, წინადადებული სამოსწავლო კომიტეტის ჟურნალი, № 284, კომიტეტის დასკვნითურთ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ აღძრულ საქმის შესახებ, რომ ბაღოსნობისა და მებოსტნეობის სწავლება იქმნას შემოღებული სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში და ამ სასწავლებლებთანვე გაშენდეს ბაღი და ბოსტანი. განუხილავს რა ზემოხსენებულ საგნის შესახებ სემინარიებისა და სასწავლებლების მმართველობათა აზრი, სამოსწავლო კომიტეტი იმ დასკვნას დასდგომია, რომ მოსახერხებელი არ არის სემინარიაში მოსწავლეებს ბაღოსნობა და მებოსტნეობაც ასწავლონ თეორიულად და პრაქტიკულად, რადგან სასულიერო სემინარიებს მეტად ვრცელი კურსი აქვთ სწავლისა და არც სწავლის დროა იმ გვარად მოწყობილიო. ამას გარდა, მოუხერხებელია ძველის გამოცდილების საფუძვლითაც, რადგან სასულიერო სემინარიებში სღვთისმეტყველო საგნებთან ერთად შემოღებულმა სასოფლო მეურნეობის სწავლებამ იმედი ვერ გაგვიმართლა და ჯეროვანი ნაყოფი ვერ გამოიღო. რაც შეეხება სასულიერო სასწავლებლებს, ამ სასწავლებლებში პრაქტიკულად სწავლება ბაღოსნობისა და მებოსტნეობისა შესაძლებელია სწავლის კურსის მხრივ და აგრეთვე სასარგებლოც არის, მოსწავლეებს ძალ-ღონეს შეუმაგრებს და განუვითარებს. ამიტომ სამოსწავლო კომიტეტი იმ აზრისაა, რომ ნება უნდა დაერთოს სასულიერო სასწავლებლების მმართველობათ, რომ იქ, სადაც შეძლება ხელს უწყობთ და მოხერხებული ადგილიცა აქვთ ბაღისა და ბოსტნის გასაშენებლად, შემოღებულ იქმნას პრაქტიკულად სწავლება ბაღოსნობისა და მებოსტნეობისა, გამორკვეულის გეგმის თანახმად და ამ საქმის მცოდნე კაცთა ხელმძღვანელობით. ამის ნება ადგილობრივ ყოვლად უსამღვდელოესობათ უნდა დართონ, ხოლო ეს მუშაობა ისე-კი უნდა იყოს განაწილებული, რომ მოსწავლეებს სწავლის მხრივ ხელი არ შეუშალოს. ჰ ბ რ ძ ა ნ ე ს: სამოსწავლო კომიტეტის აზრი დამტკიცებულ იქმნას და ეს გარემოება სასულიერო სასწავლებლების მმართველობათ ცირკულიარით ეუწყოს, „საეკლესიო უწყებანის" შემწეობით.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულება.

თიღვის ტაძრის მღვდელი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე, ამ ტაძრის განსაახლებლად დადებულ განსაკუთრებულის გულ-მოდგინე და სასარგებლო შრომისათვის, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოების, საქართველოს ექსარხოსის პალლადის მიერ, 1891 წლის 22 აგვისტოს, დაჯილდოებულ იქმნა „ნაბედრენიკით" („საქ. საექ, სას. მოამბე").

# რუსეთი

ჩვენის გაზეთის მე 228 ნომერში მოხსენებული გვქონდა „რომ, პურს გარდა, სხვა ჰინახულის რუსეთიდგან საზღვარ გარედ გაგზავნა უეჭველად აიკრძალებაო". ეს ამბავი გამართლდა. უმაღლესმა მთავრობამ გამოაცხადა ხსენებული განკარგულება და დაუყონებლივ შეუდგა იმისს ასრულებას. ეს განკარგულება შეეხება ყოველგვარს ჰინახულს, პურს გარდა, და ამასთანავე კარტოფილს, კარტოფილის ფქვილს, ბრინჯსა და გამომცხვარს პურს. ხსენებული განკარგულება უფრო ჰკუაზედ ახლოა, ვიდრე ჰვავის საზღვარ გარედ გაგზავნის აკრძალვა, რომელიც თუმცა ივლისში მოხდა, მაგრამ მაინც მთელს სამის კვირის განმავლობაში ჰვავი დაუბრკოლებლივ იგზავნებოდა საზღვარ გარედ. ახალი განკარგულება-კი, რომლის ძალითაც ყველა ჰინახულის რუსეთიდგან გატანა აკრძალულია, დაუყოვნებლივ სრულდება.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, როგორც ამ განკარგულების მნიშვნელობა რუსეთის მეურნეობისა და ვაჭრობისთვის, აგრეთვე იმ გარემოებათა მნიშვნელობაც, რომელმაც გამოიწვია რუსეთიდგან საზღვარ გარედ ჰინახულის გაგზავნის აკრძალვა. კითხვა არ უნდა, რომ ფინანსთა სამინისტრო დაწვრილებით გამოაცხადებს ცნობებს იმ სჰინახულის რაოდენობის შესახებ, რომელიც საზღვარ გარედ გაუგზავნელობის გამო რუსეთშივე დარჩება და მაშასადამე თვით ხალხს მოხმარდება. მაგრამ ეხლაც შეიძლება ვსთქვათ, რუსეთში იმდენი ჰინახული დატრიალდება ხსენებულ განკარგულების გამო, რომ გაისისმოსავლამდე ეყოფა ხალხსა. წინააღმდეგს შემთხვევაში მთავრობას, რასაკვირველია, პურის გატანაც უნდა აეკრძალა რუსეთიდგან, მით უმეტესად, რომ სხვა ჯინახულის საზღვარ გარედ გაუგზავნელობის გამო ამას იქით პურს უფრო მომეტებულს გაიტანენ რუსეთიდგან საზღვარ გარედ. ამას უნდა მოველოდდეთ სხვა მიზეზების გამოც. ჰვავის საზღვარ გარედ გატანის აკრძალვამ დასავლეთ ევროპის ბაზრებში დიდი მოთხოვნილობა გამოიწვია რუსეთის ჰინახულისა და ამ ორის თთვის განმავლობაში ძლიერ ბევრი ჯანახული გაიტანეს რუსეთიდგან საზღვარ გარედ. ეს გარემოება, როგორც ჩვენ წინადაც გვქონდა მოხსენებული, იმითი იყო გამოწვეული, რომ საზღვარ გარედ ეშინოდათ, ვაითუ ჰვას გარდა, სხვა ჰინახულისას გამოტანაც აგვიკრძალონ რუსეთიდგანაო. ეს შიში ეხლა გაუმართლდათ და ამის მიხედვით ჯერ ჯერობით არავის შეუძლიან დარწმუნებული იყოს, რომ დროებით რუსეთის მთავრობა პურის გატანასაც არ აკრძალავს. ყველა ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ ამას შემდეგ დიდ ძალი პური იქმნება რუსეთიდგან საზღვარ გარედ გატანილი, და, თუ მთავრობამ პურის გატანაც არ აკრძალა, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ მთავრობა დარწმუნებულია, იმოდენა ჰინახული გვაქს, რომ გაისის მოსავლამდე გვეყოფაო.

ასეც რომ იყოს, ხსენებული განკარგულება არა კმარა დამშეულთა დასახმარებლად. მარტო ის-კი არ არის ხალხისთვის საჭირო, რომ საკმარისი ჰინახული ჰქონდეს; საჭიროა აგრეთვე ჰინახულის იმ ადგილებში გაგზავნაც, საცა საჭიროება მოითხოვს. ეს საქმე-კი ადვილი არ არის. შეგვიძლიან, გადაჭრით ვსთქვათ, რომ, თუ მთავრობამ განსაკუთრებით ყურადღება არ მიაქცია ამ საქმეს, მარტო ჰინახულის საზღვარ გარედ გაგზავნის აკრძალვა თავის თავად ბევრს ვერაფერს სარგებლობას მოუტანს მოუსავლობით დაზარალებულს, დამშეულს ხალხსა. შიმშილმა-კი ზოგიერთს გუბერნიაში თითქმის საშინელებამდე მიაღწია. რუსეთის გაზეთები დღითი-დღე უფრო შემაწუხებელს ამბებს იწერებიან. მაგალითად, სიმფეროპოლსა და ხერსონში ამ დღეებში მომხდარ საერო კრებებზედ აღმოჩნდა, რომ ამ ორის გუბერნიისთვის კიდევ დიდი დახმარებაა საჭირო. ამ გვარადვე გაჭირვებულია ტულას გუბერნიაც. ამბობენ, რომ ამ გუბერნიის დახმარებისთვის, სულ ცოტა, 4 მილიონი მანათია საჭიროო. ორენბურგის გუბერნიის ორს მაზრაში, კორესპონდენტის სიტყვით, ხალხი რაღაცა ბალახსა სჭამს პურის მაგიერად, ზოგს ალაგს-კი ხალხი რამდენისამე დღით უჭმელი რჩება. ყაზანის გუბერნიის ორს მაზრაში სიმშილისაგან სახადი გაჩნდა („ГОЛОДНЫЙ ТИФЪ"). ვორონეჟის გუბერ-

---

დის მონასტერიც, რომლის მდებარეობა არ ვიცით, სად იყო" (გვ. IV). შეადარეთ ორი მარგალიტი: „ჩვენ ეჭვი არა გვაქვს", და „არ ვიცით", „შეიძლება". რომელი რომელს სჯობია? მე რომ მკითხოთ, ორივ საუცხოვოა: სადაც მიჯობს „ეჭვი არა მაქვს"-ით გავაჩუმებ მოწინააღმდეგეს, საცა-კი მისჭირდება საქმე—„არ ვიცით"-აც იოლად გამოვალ.—უარესი მოუვა ყოველს მეცნიერს, უკეთუ იგი უმეტეს გამსჭვალულია თავმოყვარეობით და „ამერიკის აღმოჩენის" ოცნებით, ვინემ ჭეშმარიტების სიყვარულითა და სურვილით.

მერე რამდენი ჭუჭყი მოეცხო წმიდა გვამთ მაგ შატბერდის გამოისობით: ვახუშტი, ბროსსე საყვედურს მიეცნენ, ბაქრაძე გაისრისა ძლიერის კრიტიკის ქვეშე, შატბერდის მეათე საუკუნის მეტაფრასის და მატიანის აღმწერელს, საწყალს გიორგი მერჩულეს ემხილა უვიცობა ქორონიკონებისა და „თვალსაჩინო ანახრონიზმის" შეწყნარება, ბერი ლორთქიფანიძე გაიცოცხა: თურმე „ვერ გადმოუწერია რიგიანად დედნიდამ", შეცდომებში შეუყვანია გამომძიებელი; (საწყალი ბერი ა. ლორთქიფანიძე! ძალად მოჰხვდა კრიტიკის ხელში, თორემ ტყუილად აბრალებენ იერუსალიმის აღწერას, რომელიც ეკუთვნის არა ლორთქიფანიძეს, არამედ პლატონ იოსელიანს, როგორც ეს აშკარავდება ამ უკანასკნელის ნაწერებისაგან და ერთ საკუთარ მისის ხელით დაწერილ „იერუსალიმის აღწერიდგან", რომელიც „წ. კ. საზოგადოების" წიგნთ საცავში ინახება, მაგრამ კრიტიკოსის მიერ შეუნიშნავი დარჩა); ერთი-ორი მათრახი „პროფესორს ცაგარელსაც მოხვდა და სამართლიანადაცა: თურმე (იხილეთ!) „ლორთქიფანიძეს შეცდომები აქვს, მაგრამ იშვიათად... ხოლო პროფესორს ცაგარელს... (ჰოი, ნუ ჰკითხავთ!). პირველი (თურმე!) სჰარბობს უკანასკნელს „მანუსკრიპტების და წარწერათა კითხვაში" (ხოლო თვით კრიტიკოსი—რა თქმა უნდა—ორივეს). სჩანს კრიტიკოსს შეჰშინებია ცაგარლისა და შეუმცირებია თვისი სასტიკი განჩინება პროფესორზე: „ეტყობა... ზოგიერთი ნაშთები... აღმოფხვრილა (ლორთქიფანიძისითგან ცაგარლისადმდე), და ზოგიერთი(ც) შეიძლება პატივცემულს პროფესორსაც გამორჩა... სიჩქარის გამო" (ნეტავ ვინ აჩქარებდა?)

მაგრამ აჰა, ბ-ნმა თაყაიშვილმა ერთად თავი მოუყარა ყველა ჩვენს წარსულსა და აწინდელს მეისტორიეს და ყველა ერთად მტკვარს მისცა მღაღადებელმან: „ქართლის მოქცევა დღემდის (ე. ი. თაყაიშვილისამდე) უცნობი წყარო იყო ჩვენის ისტორიისა (დახეთ!)... ჩვენს ისტორიკოსებს (ბროსსეს, ჩუბინოვს, ბაქრაძეს და სხვებს)... არც ერთს მათგანს (ე. ი. ამ 1891 წ. და თაყაიშვილისამდე) არ (sic) შეუნიშნავს" (თურმე!)—იხ. გვ. L XXX „ვახუშტიმ და თეიმურაზ ბატონიშვილმა ხომ სრულიად არ იციან „ქართლის მოქცევა"! (გვ. L XXXII) და ესრეთ: არა თუ არ სცოდნიათ და არც (?) შეუნიშნავთ; ე. ი. არც-კი ნდომებიათ შენიშნვა, თვალი განგებ მოურიდებიათ. თურმე ნუ იტყვით, ეს „უცნობი წყარო ჩვენის ისტორიისა" სრულიად შეტანილი ყოფილა (როგორც თვით კრიტიკოსიც გვეთანხმება) „ქართლის ცხოვრებაში" და, მაშასადამე, ცნობილი ყველა აქამომდე მყოფს მეისტორიეთათვის, მაგრამ, კრიტიკოსის სიტყვით, ეს „ცნობილი" მაინც „უცნობია". მატიანეში-კი შეუტანიათ, ცალკე წიგნებად დაუბეჭდიათ (იხ. „სამოთხე"), მაგრამ მაინც „უცნობია". ახლად ნაპოვნი „ქართლის მოქცევა" მხოლოდ ვარიანტი გამოდგა აქამომდე მრავალ-ცალად ცნობილის „ქართლის მოქცევისა". უნდა ნახოთ, რამდენად იბნევა თვით კრიტიკოსი იმისს განმარტებაში, თუ რას უწოდებს „ქართლის მოქცევას": ხან ნინოს ცხოვრებას უწოდებს „ქართლის მოქცევად" ერთად ქრონიკებით, ხან მარტო ქრონიკებს უნინოს ცხოვრებოდ, ხან კიდევ რაღაც სხვას... ერთს მკვიდრს დასკვნაზე ვერ დამდგარა; საცა უფრო მოსდის ჰანგში, იქ იმას ამბობს, რომ „ქართლის მოქცევის ქრონიკა" სხვა არის და თვით „ქ: მოქცევა ქართლისა"-ც სხვაო და პირველი შემოკლებული მოთხრობაა სრულის მატიანესი („ქართლის ცხოვრებად" წოდებულისა), ხან წინაუკმო: ნინოს ცხოვრებას მხოლოდ უწოდს „ქართლის მოქცევად". შეადარეთ გვ. L XXX: „ქართლის მოქცევას შეადგენს მოკლე ისტორიული ხრონიკა და წმიდა ნინოს ცხოვრება ერთად" და გვ. XCVII: „ნინოს ცხოვრება (უქრონიკოდ) „ქართლის მოქცევას შეადგენს", აგრეთვე გვ. XCVIII: არც „ქართლის ცხოვრება" გვაძლევს მეტს ცნობებს, ვიდრე „ქართლის მოქცევა", მაგალითებრ, ვაჩე, ბაკურ და მირდატ II მეეფების შესახებ „გარდასახლების ჩვენებისა" (აშკარაა, აქ „ქართლის მოქცევად" გულისხმებულია ქრონიკა ქართლის მოქცევისა). გვ. XCVIII: „შეიძლება ეს მოკლე ისტორიული ცნობები (ე. ი. ქრონიკა) იყოს საფუძველი ქ. ცხოვრებისა", მაგრამ კრიტიკოსი უფრო იმაზეა დამყარებული „რომ ქართლის მოქცევის" შემდგენს ვრცელის (?) დედნიდგან უნდა ჰქონდეს გამოკრებილი ეს ცნობები" (ე. ი. ქრონიკა). აჰა ნიმუშები უკუთქმათა. მოდით და მოათავსეთ ერთად ეს მგელი—თხა—თივა—ცეცხლ—წყალი, ისე რომ არც ერთი არ დაზიანდეს! უკანასკნელის დასკვნისაგან ცხადია, რომ ბ-ნი თაყაიშვილი „ქართლის ცხოვრების" მატიანეს ჰხადის წყაროდ „ქართლის მოქცევისა", თუმცა ზემოდ-კი აცხადებდა, ვითომ უკანასკნელი წყარო ყოფილიყოს პირველისა და ვითომ ეს წყარო (ძველადვე ცნობილი) ახლად აღმოეჩინოთ. რომელი აზრი მივიღოთ?

თ. ჟორდანია

(დასასრული იქნება)

ნიის გლეხობა ისეა გაჭირვებული, რომ საქონელსა და ,,ნადელის'' სახნავ-სათესს ადგილებს ჰყიდის. ნიჟეგოროდის გუბერნიის მცხოვრებლების ორს მესამედს სრულიად პური არა აქვს საჭმელად. ამ გუბერნიის საგანგებო კომისიის უკანასკნელმა კრებამ გადასწყვიტა, 250,000 მანათი ვთხოვოთ მთავრობას დამშეულთა სასარგებლოდაო. მაგრამ ეს ფული რა გაუხდებათ, როცა ამ გუბერნიის დამშეულს ხალხს, მხოლოდ 34 დღეში ერთი მილიონი ფუთი პური სჭირდება. მოუსავლობის გამო სხვა დაზარალებულ გუბერნიების მდგომარეობაც არ არის ამაზედ უკეთესი. ჯერ-ჯერობით რუსეთის 18 გუბერნიისთვის მთავრობას 32 მილიონი მანათი მიუცია სესხად, მაგრამ ეს ფული დიდი ხანი არ ეყოფა დამშეულს ხალხსა. სამარას გუბერნიის საგანგებო კომისიის გამოანგარიშებით, ჯერ მარტო ამ გუბერნიისთვის გაისის მოსავლამდე გამოსაკვებად 9,313,000 მანათია საჭირო. სჩანს, რომ ის საგანი, თუ რა საშუალება უნდა იხმაროს მთავრობამ ამოდენა დამშეულთა გამოსაკვებად, ჯერ კიდევ გამოსაკვლევი და გადასაწყვეტია.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ გულითადი მადლობა კნეინა ბარბარე ჭავჭავაძისას და თიონეთის მაზრის უფროსის თანაშემწეს თავ. ალექსანდრე ლუარსაბის ძეს ვაჩნაძეს, რომელთაც შემოსწირეს ყვარლის ორ-კლასიან სასწავლებლის ,არიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 18 მანეთი.

დ. დუმბაძე

---

## დეპეშა

30 ოქტომბერს

**პეტერბურგი.** თუ მღვდელ-მსახურნი საერო განათლების სამინისტროს ან სამხედრო სასწავლებლებში დაიწყებენ სამსახურს, ეპარქიაში წინად ნამსახური დროც ჩაეთვლებათ პენსიის მისაღებს ვადაში და პენსიაც იმ ანგარიშით მიეცემათ, რა წესითაც ეძლევათ ამ სასწავლებელში მოსასამსახურეთ, რომელნიც სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურიდგან გადმოსულან. ხატვის სწავლება გიმნაზიის დაბალს კლასებში სავალდებულოდ აღიარებულ იქმნა და ამ საგნის მასწავლებელთაც იგივე უფლებანი ენიჭებათ, რაც სხვა საგნის მასწავლებლებს.

**ბერლინი.** იქი კვირია გაკოტრდა საბანკო კანტორა „გირშფელდ—ვოლფისა“, რომელმაც დიდი ზარალი მისცა გერმანიის საიმპერატორო გვარეულობის წევრთ და წარჩინებულთ, მაგალითადა კანცლერს კაპრივის. ამ დროსვე პოლიციამ დაუკეტა კანტორა გაკოტრებულს „ფრიდლენდერ-ზომმერვილის“ ფირმას, რომლის პატრონმაც თავი მოიკლა. ამ გარემოებამ დიდი შიში აღძრა საზოგადოებაში, მაგრამ ახლა ეს შიში შესუსტდა, რადგანაც ზოგიერთმა ფირმამ, რომელსაც აუარებელი ხალხი მიაწყდა, დაუყოვნებლივ დაუბრუნა შემტანთ თავიანთი ფული და კვირა დღეობითაც-კი კასსები ღია დაიჭირა.

**სოფია.** როდესაც დაბოლოს ეპისკოპოსმა მეთოდიმ პასპორტი მიიღო და კონსტანტინოპოლისკენ მიმავალს მატარებელში ჯდებოდა, პოლიციის კომისარმა შეიპყრო: ეგ პასპორტი კანონიერი არ არისო. ეპისკოპოსი წაიყვანეს პოლიციაში და გასჩხრიკეს. მხოლოდ მეორე დღეს მოახერხა ეპისკოპოსმა წასვლა. მივიდა რა კონსტანტინოპოლში, ეპისკოპოსმა აუწყა ეგზარხს საქმენი სტამბულოვისა მართლ-მადიდებელ სამღვდელოების წინააღმდეგ.

**პერნამბუკო.** გრაო-პორას პროვინციამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. როგორც ისმის, ბახიას პროვინციას ამასვე აპირობს. რიო-გრანდე დო-სულში სამხედრო გემები გაიგზავნა.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8 | 8, 04 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160½ | 161 | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 229 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 211 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . , . | — ,, | — ,, | 210½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**ბათუმიდამ გადის:**

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის—კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც მიუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

---


## განცხადებანი

შემიძლიან, მსურველთ მოვუტანო და დავუდგა ლიმონადის მაშინა და აგრეთვე ვასწავლო ლიმონადის და შამპანურის ღვინის კეთება ორის კვირის განმავლობაში. მსურველთ შეუძლიათ მომმართონ პირდაპირ და პირობები დაწვრილებით შეიტყონ დ. ხონში (ქუთ. გუბერ.)

ვარშაველი აგენტი-მემაშინე სამტერი
(Самтеръ) (2—1)

---

ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს საყოველთაოდ, რომ მისს სადგომში 5 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საჯარო ვაჭრობა მოხდება იჯარით გასაცემად მიწის ნაჭრისა ავლაბარში 476 დესიატ. გაჯის ამოსაღებად.

(3—2)

---

„ქართველთა ამხანაგობის“
წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . 1 მ. 20 კ.
იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . 2 მ. 50 კ.
სამივე ტომი . . . 7 მ.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით , . . . 1 მ. 40 კ.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა და ფაქსიმილეთი . . . . „ 80 კ.
იგივე მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი . . . . . . „ 15 კ.
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . „ 30 კ.
იგივე ყდით . . . . . „ 75 კ.
სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა . . . „ 25 კ.
„მარაბდა“ ან. ფურცელაძისა . . . . „ 20 კ.
„წყალობა“—მისივე . „ 20 კ.
„თამარი“ სპარსული ლეგენდა . . . . . „ 10 კ.
„დემონი“ თარგ. ფაზელისა . . . . . „ 15 კ.
„ცდა“ III წ. . . . . „ 50 კ.
საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. „ 30 კ.

---

აბოვიანცის მაღაზიის პირდაპირ, ალექსანდრესბაღის სარისხასთან, ხილის ბუტკაში ისყიდება თითო აბაზად ოქოევის ზავოდის ფირმის ბოთლები, რომელშიაც ჩადის სრული ჩარექი ღვინო. მალიან საჭიროა ყოველის ოჯახისთვის.

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 9

# გზელო

მოთხრობა

## ნ. მელანიასი

(ფშ'ავლიხიმია)

ფასი 40 კაპ.

გარდაეცა გასასყიდად ქართველთა ამხანაგობის მაღაზიას (საკუთარი შენობა, ქვაშვეთის ეკკლ. პირდაპირ) და ამხანაგობის აგენტებს.

(5—4)

---

# ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,
იქ, სადაც „**ივერიის**“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა
სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ,,.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ, ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი, რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 31-го Октября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.